პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 9 (265) | გამოცემის მერვე წელი | შაბათი, 14 აპრილი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.



სურათზე: ქიმიის ფაკულტეტის V კურსის ფრიადოსანი სტუდენტი დალი წაქაძე მუშაობს სადიპლომო თემაზე — „ფურფუროლის განსაზღვრის მეთოდების შემოწმება". (ხელმძღვანელი დოც. თ. კიფარენკო).

ფოტო ზ. რუსიასი

## მაღალ დონეზე ჩავატაროთ სტუდენტთა XIX კონფერენცია

8—15 მაისს ჩატარდება უნივერსიტეტის სტუდენტთა XXI სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას.

უნივერსიტეტის სტუდენტთა ტრადიციული სამეცნიერო კონფერენციები, რომელნიც ჩვეულებრივ აპრილის მეორე ნახევარში იმართება, აჯამებენ იმ სისტემატურ, შინაარსიან მუშაობას, რომელიც წლის მანძილზე წარმოებს ჩვენი საზოგადოების 50 სამეცნიერო წრეში.

კონფერენციებზე მკაფიოდ ვლინდება ჩვენი სტუდენტი-ახალგაზრდობის სამეცნიერო მუშაობის დონე, თვალსაჩინო ხდება, თუ რა არსებითი ხარვეზები გაგვაჩნია მუშაობაში და რა მიმართულებით გვმართებს ყურადღების გამახვილება.

ყოველი კონფერენცია, ამასთან, წარმოადგენს ახალ საფეხურს საზოგადოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში, იგი ავლენს სერიოზული სამეცნიერო მუშაობის უნარის მქონე სტუდენტებს.

ამ დღეებში უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილმა მიიღო საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრის ბრძანება სამინისტროს სიგელით უნივერსიტეტის 28 სტუდენტის დაჯილდოების შესახებ, რომელთაც უკანასკნელ, რიგით XX სამეცნიერო კონფერენციაზე საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომები წარმოადგინეს.

ჩვენი სტუდენტების სამეცნიერო შრომების ასეთი შეფასება გვავალებს უფრო სრულფასოვან, მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩავატაროთ XXI კონფერენცია.

დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ის გარემოება, რომ კონფერენცია ეძღვნება კომუნისტური პარტიის ისტორიულ XXI ყრილობას, რომელმაც საბჭოთა მეცნიერებასა და უმაღლეს სკოლას ახალი, დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა.

კონფერენციაზე წაკითხული იქნება 165 სამეცნიერო მოხსენება. მოხსენებათა თეზისები ამჟამად იბეჭდება და მზად იქნება კონფერენციის პლენარული სხდომისათვის.

ისევე, როგორც შარშან, მუშაობა იწარმოებს 13 სექციაში. ესენია: მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ბიოლოგიის, ისტორიის, იურიდიულ-ფილოსოფიურ მეცნიერებათა, ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და კლასიკური ფილოლოგიის, რუსული ენისა და ლიტერატურის, აღმოსავლეთმცოდნეობის, საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიისა და უცხოურ ენათა, ეკონომიურ მეცნიერებათა სექციები.

სამეცნიერო საზოგადოების საფაკულტეტო საბჭოებმა, საზოგადოების მთელმა აქტივმა, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ქმედითი დახმარებით ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ კონფერენციის ორგანიზაციაში. წინა წლების გამოცდილებიდან ყველასთვის ცნობილი უნდა იყოს, რამდენად არადამაკმაყოფილებელია რიგ შემთხვევებში სტუდენტთა დასწრება სექციათა სხდომებზე. მათი მონაწილეობა მოხსენებათა გარშემო გაშლილ მსჯელობაში. ხშირად ყოფილა, რომ სხდომებზე მსმენელთა და კამათში მონაწილეთა უპირატეს ნაწილს პროფესორ-მასწავლებლები შეადგენენ. ასეთი მდგომარეობა წელსაც რომ არ განმეორდეს, საჭიროა დავაინტერესოთ სტუდენტები კონფერენციის მუშაობით, წასაკითხი მოხსენებების თემებით.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოების ურთიერთობაში დამკვიდრებულია კარგი ტრადიცია — დელეგაციების ურთიერთგაცვლა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობის მიზნით. მიმდინარე წელს ჩვენი საბჭოს სახელზე მიღებულია მოწვევები მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, ერევნის, ბაქოს, ვილნიუსის და სხვ. ქალაქების უნივერსიტეტებიდან. რამდენიმე ჩვენი სტუდენტი უკვე წარდგა სამეცნიერო მოხსენებებით მოძმე რესპუბლიკების უნივერსიტეტთა კონფერენციებზე. არის ცნობები, რომ აღნიშნულმა მოხსენებებმა კარგი შეფასება დაიმსახურეს.

თავის მხრით, როგორც წინა კონფერენციებზე, წლევანდელ კონფერენციაზეც მოველით სტუდენტებს საბჭოთა კავშირის მთელი რიგი უნივერსიტეტებიდან. სტუმრებს მომზადებულად და ორგანიზებულად უნდა შევხვდეთ, შევეცადოთ მათს მოხიბვლას უმთავრესად არა გულუხვი მასპინძლობით, არამედ ჩვენი კონფერენციის მუშაობის მაღალი დონითა და სანიმუშო ორგანიზაციით.

ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა XXI სამეცნიერო კონფერენციამ ჩვენი სამეცნიერო მუშაობის აღმავლობა და ჩვენი საზოგადოების ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი სრულყოფა დაგვიდასტუროს.

**ა. ალექსიძე,**
უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნ. საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე.

## ფაკულტეტის სამეცნიერო სესია

23 მარტს დაიწყო და 26 მარტს დამთავრდა ეკონომიური ფაკულტეტის მესამე სამეცნიერო სესია (ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანი — პროფ. ნ. ქოიავა), რომელიც სკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შუქზე ჩატარდა.

სესიაზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: პროფ. ს. ბერაძე — პოლიტიკური ეკონომიის საგნის ზოგიერთი საკითხი; პროფ. ვ. ჩანტლაძე — ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა გადასახადების შესახებ; პროფ. ნ. ქოიავა — ფულის წარმოშობის უახლესი ბურჟუაზიული თეორიები; პროფ. ა. გოციელი — საბჭოთა ფინანსების ფუნქციათა შესახებ; პროფ. კ. მეგრელიძე — საქართველოს კოოპერაციული მრეწველობა და მისი საწარმოო ასორტიმენტისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები 1959—1965 წლებში; დოც. ს. ინწკირველი — თანამედროვე რევიზიონისტთა ეკონომიური შეხედულებების ზოგიერთი საკითხის კრიტიკისათვის; დოც. შ. ბერაძე — მოსახლეობის აღწერის მეთოდური საკითხები; დოც. გ. გურგენიძე — ვახუშტი როგორც საქართველოს მეურნეობის მკვლევარი-ეკონომისტი; დოც. ნ. დგებუაძე — საწარმოთა მუშაობაზე ეკონომიურ ფაქტორთა გავლენის გაზომვის მეთოდოლოგიის საკითხები; მეცნ. კანდიდატი ვ. ლებანიძე — ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ფინანსები; მეცნ. კანდიდატი პ. გარუჩავა — საქართველოს ქიმიური მრეწველობა და მისი განვითარების პერსპექტივები; მეცნ. კანდიდატი ვ. ადვაძე — მუშათა კლასის გაღატაკება კაპიტალისტურ საზოგადოებაში; მეცნ. კანდიდატი ა. ერგემლიძე — სამშენებლო ორგანიზაციების ფინანსები („მთავართბილისმშენის" მაგალითზე); უფროსი მასწ. ლ. მამისაშვილი — კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების პროგრესიული ფორმების დანერგვა და მისი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა; ასისტ. ნ. მესხი — შრომის ნაყოფიერების ზრდის ფაქტორები საქართველოს თამბაქოს ფაბრიკებში.

მოხსენებები დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი და მათ გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი.

**თ. მგელაძე**

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის II ფესტივალისა

სტუდენტ ახალგაზრდობაში კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობის განვითარების, გაძლიერებისა და ახალი ძალების გამოვლინების მიზნით, ტარდება უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის II ფესტივალი, რომელიც გაიხსნება ა. წ. 17 აპრილს.

ფესტივალზე მოეწყობა კონკურსები, რომელთა ჩატარებას ხელმძღვანელობს ორგკომიტეტი. პირველობის საკითხს კონკურსის თვითეულ სახეში განსაზღვრავს ფესტივალის ჟიური;

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს: უნივერსიტეტის სტუდენტს, ასპირანტს და ახალგაზრდა თანამშრომელს.

კონკურსში გამარჯვებულებს ენიჭებათ უნივერსიტეტის II ფესტივალის ლაურეატის წოდება და ჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

#### ფესტივალის მხატვრული კონკურსების ჩატარების წესები:

#### კონკურსები ჩატარდება შემდეგ სახეებში:

**ა) შემსრულებელთა კონკურსები:**

კლასიკური და საესტრადო სიმღერა (სოლო, დუეტი, ტრიო და ა. შ. ოქტეტამდე); ფორტეპიანო, ვიოლინო, ჩელო, სასულე ინსტრუმენტები: ფლეიტა, გობოი, კლარნეტი, ტრომბონი, საყვირი, ვალტორნა, ფაგოტი; კლასიკური ბალეტი, სახასიათო ცეკვები, ხალხური ცეკვები (სოლო, დუეტი, ჯგუფი); მხატვრული კითხვა; ხალხური სიმღერები (სოლო, დუეტი, ტრიო და ა. შ.); რუსული ხალხური ინსტრუმენტები; ქართული ხალხური საკრავები: ჩონგური, ფანდური, ჩანგი, თიბონი, სალამური, დოლი, დაირა, დუდუკი და გუდასტვირი (სოლო ან ჯგუფები 6 კაცამდე); აკორდეონი, გიტარა (სოლო ან ჯგუფი); სატირა და იუმორი: სკეტჩები, ვოდევილი ან პატარა ინსცენირება; ორიგინალური ჟანრი: მხატვრული სტვენა, პანტომიმა, იმიტაცია მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლები (მონაწილეთა რიცხვი ფაკულტეტებზე არსებულ შესაძლებლობათა მიხედვით).

**ბ) შემოქმედებითი კონკურსები:**

მუსიკალური ნაწარმოებები; ლიტერატურული ნაწარმოებები, სახვითი ხელოვნება, ხალხური გამოყენებითი ხელოვნება, მხატვრული ფოტოგრაფია.

მ უ ს ი კ ა ლ უ რ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ბ ი:

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი მუსიკალური ჟანრები: სიმღერები, როგორც სოლო, ისე გუნდური შესრულებისათვის; ნაწარმოებები ფორტეპიანოსათვის, კამერული ანსამბლისათვის (ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი), საესტრადო ანსამბლისათვის (კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი ოქტეტი).

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ბ ი:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ახალგაზრდას. კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებები: პოემა, ლექსი, მოთხრობა, ერთაქტიანი პიესა;

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კონკურსზე წარმოდგენილი ნაწარმოებები უნდა ასახავდნენ ახალგაზრდობის ცხოვრებას, მშვიდობისა და მეგობრობისათვის ხალხთა ბრძოლას, სიყვარულსა და თავდადებას სამშობლოსათვის.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა:

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ჭრა-კერვის ნიმუშები, სამეურნეო (თიხის) და კერამიკული ნაკეთობანი, ნაქარგები, მხატვრული და გამოყენებითი სხვა ნაწარმოებები.

ს ა ხ ვ ი თ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა:

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ჟანრის ნაწარმოებები: ფერწერა (ზეთი, აკვარელი), გრაფიკა, გრავიურა, ქანდაკება (მასალა მოქანდაკის შერჩევით) და პლაკატი.

მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ფ ო ტ ო გ რ ა ფ ი ა:

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ფერადი, ისე ჩვეულებრივი ფოტოსურათები: ფოტოეტიუდი და ფოტორეპორტაჟი.

**წარმოდგენის ვადები:**

შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო ნაწარმოებები უნდა წარმოადგინონ ორგკომიტეტში თავიანთი გვარის, სახელისა და მამის სახელის, აგრეთვე ფაკულტეტის კურსის ანდა თანამდებობის აღნიშვნით. კონკურსის ვადაა ა. წ. 26 აპრილამდე.

**უნივერსიტეტის ფესტივალის სპორტულ ღონისძიებათა შესახებ**

ა. წ. 2 მარტიდან 12 აპრილამდე ჩატარდა უნივერსიტეტის X სპარტაკიადა სპორტის შემდეგ სახეებში: მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ცურვა, კალათბურთი და ფრენბურთი (ვაჟთა და ქალთა გუნდები), ველოსპორტი, კრივი, ჭადრაკი, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ფარიკაობა, ფეხბურთი, სროლა, მხატვრული ტანვარჯიში, (ქალთა და ვაჟთა გუნდები), ძალოსნობა, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, გეზრბენი.

ვინაიდან საუნივერსიტეტო ფესტივალს უშუალოდ წინ უძღოდა ისეთი დიდი ღონისძიება, როგორიც არის X სპარტაკიადა, ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა სპარტაკიადაზე გამარჯვებულ ფაკულტეტებსა და პირად პირველობაში გამარჯვებულ სტუდენტებს მიენიჭოს უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის II ფესტივალის სპორტული თამაშების ჩემპიონის სახელი და დაჯილდოვდნენ პრიზებითა და ჩემპიონის დიპლომებით.

## რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრების ღია სხდომა

31 მარტს ჩატარდა რუსული ლიტერატურისა და რუსული ენის კათედრების გაერთიანებული ღია სხდომა მიძღვნილი დიდი რუსი მწერლის ნიკოლოზ გოგოლის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი.

სხდომაზე მოხსენებით — „გოგოლი ხელოვნების შესახებ" — გამოვიდა დოცენტი მ. ბაიხოგულოვა. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

საინტერესო იყო დოცენტ თინათინ მრევლიშვილის მოხსენება — „გოგოლის მხატვრული ენის შესახებ".

სხდომაზე გოგოლისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსების კითხვით გამოვიდა უფროსი მასწ. სავლე აბულაძე.

# ფესტივალის წინ

17 აპრილს საზეიმოდ გაიხსნება ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტ-ახალგაზრდობის II ფესტივალი. ამ ღირსშესანიშნავი ღონისძიებისათვის ახლა ყველა ფაკულტეტი ემზადება, საბოლოოდ აზუსტებს პროგრამებს, ფესტივალზე გამოსატან ნომრებს. ჩვენი გაზეთის რედაქციამ მოაწყო წინასაფესტივალო გასაუბრება. აი, რა გვიამბეს ჩვენმა კომკავშირელმა აქტივისტებმა.

## ფესტივალი მოახლოვდა

მე-2 საუნივერსიტეტო ფესტივალი გაიხსნება 17 აპრილს და 3 დღეს გაგრძელდება. მისი დახურვა მოხდება კვირას, 19 აპრილს, სადაც მოეწყობა სტუდენტთა საღამო — „უნივერსიტეტის სტუდენტთა გაზაფხული". ამ დღისათვის გაცხოველებით ემზადებიან ჩვენი სტუდენტები, რათა მაღალ დონეზე ჩატარდეს ეს ღირსშესანიშნავი ღონისძიება. უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა და სტუდენტთა პროფკომმა მოიწვიეს გაერთიანებული სხდომა, სადაც დაევალათ ფაკულტეტების ალკკ ბიუროებსა და პროფბიუროებს მთელი ძალებით იმუშაონ ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა ფესტივალის ჩატარებისათვის შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი პროფ. ს. ჟღენტის ხელმძღვანელობით. უკვე გამოცხადდა კონკურსი საუკეთესო შემოქმედებითი ნაწარმოებებისათვის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, ასევე გამოცხადდა შემსრულებელთა კონკურსი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ფაკულტეტს, რომელმაც გვიან დაიწყო ფესტივალისათვის მზადება, ახლა ძალების მაქსიმალურად დაძაბვა უხდება. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ფიზიკის, ფილოლოგიის, ისტორიის, ეკონომიური და იურიდიული ფაკულტეტები. ხოლო ვინ უკეთესად მოემზადა, ეს მაშინ გამოჩნდება, როცა ისინი წარდგებიან მაყურებელთა წინაშე.

საორგანიზაციო კომიტეტს განზრახული აქვს მოაწყოს ფესტივალის დასკვნითი კონცერტი ოპერისა და ბალეტის თეატრში. ამ დღისათვის ჩვენ სცენაზე ვიხილავთ გამარჯვებულ ფაკულტეტებს და ინდივიდუალურ შემსრულებლებს, რომლებიც ფესტივალის ლაურეატობას დაიმსახურებენ. ასევე მაყურებლის წინაშე წარდგება უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი და მომღერალთა გუნდი, მოცეკვავეთა ანსამბლი, საესტრადო ორკესტრი.

ფესტივალის გახსნამდე რამდენიმე დღე დარჩა. მხატვრული კოლექტივები გადიან „წვრთნას". სად არ ნახავთ მათ — სააქტო დარბაზში, 86-ე აუდიტორიასა თუ სხვა აუდიტორიებში. მიმდინარეობს საბოლოო რეპეტიციები.

17 აპრილს უნივერსიტეტის ეზოში სპორტსმენები ჩირაღდნებით ხელში გვაუწყებენ ფესტივალის საზეიმო გახსნას.

**ზ. გაგუნია**

## რას ვაკეთებთ ფესტივალისათვის

ეკონომიური ფაკულტეტის თვითმოქმედმა მხატვრულმა კოლექტივმა ჯერ კიდევ ადრე დაიწყო სამზადისი ფესტივალისათვის.

სისტემატურად და წარმატებით მეცადინეობს ჩვენი ფაკულტეტის მომღერალთა გუნდი V კურსის სტუდენტის შოთა ნასიბაშვილის ხელმძღვანელობით. ჩვენი მომღერლები ფესტივალზე გამოიტანენ რამდენიმე სავუნდო სიმღერას.

პარალელურად მეცადინეობს ჩვენი ფაკულტეტის ქორეოგრაფიული წრე III კურსის სტუდენტის სოსო ბუხაიძის ხელმძღვანელობით. მოცეკვავეები ფესტივალზე მასიური ცეკვებით წარდგებიან მაყურებელთა წინაშე.

ფესტივალზე გამოვიტანთ სკეტჩებს და მხატვრულ კითხვას, სიმღერებს გიტარებზე, ფანდურზე და ამავე დროს ინდივიდუალურ შემსრულებელთა რამდენიმე ნომერს.

ფესტივალისათვის მზადების ორგანიზაციაში დიდ დახმარებას გვიწევს სტატისტიკის კათედრის გამგე დოც. შ. ბერაძე.

ჩვენი ფაკულტეტის თვითშემოქმედებითი კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ღირსეულად წარდგეს ფესტივალზე.

**რ. ჯავახიშვილი,**
ეკონომიური ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი.

## ვემზადებით

ჩვენ, ფიზიკოსები გაერთიანებული ძალებით წარვდგებით უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის ფესტივალზე და შევეცდებით დავიცვათ გასულ წელს მოპოვებული წარმატებანი. კარგა ხანია დავიწყეთ მეცადინეობა, ჩამოვაყალიბეთ საესტრადო სექტეტი, რომლის რეპერტუარი ძირითადად საბჭოთა და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებისაგან შედგება. სექტეტს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის რუსული განყოფილების ალკკ ბიუროს მდივანი კ. კვაჭანტირაძე.

მეცადინეობას შეუდგა აგრეთვე მოცეკვავეთა ჯგუფიც — III კურსის სტუდენტის ჯემალ მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით.

ვმეცადინეობთ, მაგრამ გვაქვს ზოგი ხელისშემშლელი გარემოებაც: სამეცადინო დარბაზის გადატვირთვის გამო ხშირად გვიხდება „შეჯახება" ჩვენს „მოწინააღმდეგეებთან" — ეკონომისტებთან და ფილოლოგებთან. ისინიც გაცხოველებით ემზადებიან ამ დღეებისათვის, მათ სურთ რევანში აიღონ წელს.

ვეცდებით, რომ კარგად წარვსდგეთ მომთხოვნ მაყურებელთა წინაშე.

**ნ. ჭიაბრიშვილი,**
ფიზიკის ფაკულტეტის ქართული განყოფილების ალკკ ბიუროს მდივანი.

## ვნახოთ რას იტყვის მაყურებელი

წინასწარ ძნელია იმის თქმა, თუ როგორ გამოვალთ საუნივერსიტეტო ფესტივალზე. ერთი რამ კი ცხადია: წინასაფესტივალო კრიტიკამ მთელი ძალით აამუშავა ფაკულტეტის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები და თუ ამას დავუმატებთ ჩვენი სტუდენტების მონდომებას, უნდა ვიფიქროთ, რომ იურისტები ამ ფესტივალზეც არ შეირცხვენენ თავს.

უცხოურ და ჯაზურ მუსიკას იურისტებმა „ჯვაროსნული ომი" გამოუცხადეს. ამიტომ ჩვენი თვითმოქმედი კოლექტივების პროგრამაში ძირითადად იქნება ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, საბჭოთა და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მისასალმებელია ის ამბავი, რომ ასეთი პროგრამა თვით ჩვენი სტუდენტების ინიციატივით შედგა. ჩვენი ბიჭები ჯაზომანიით გატაცებულთა მანჭვაგრეხას მამაპაპურ „მრავალჟამიერსა" და ეროვნულ ცეკვებს ამჯობინებენ. ჩვენ ეს მოგვწონს და გვახარებს.

ჩვენი სურვილია მომზადებული წარვდგეთ ფესტივალზე. შედეგი? — ვნახოთ, რას იტყვის მაყურებელი.

**ნ. ქავთარაძე,**
იურიდიული ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი.

# ცხოვრების კარიბჭესთან

ამ ხუთი წლის წინათ, უნივერსიტეტში რომ შემოვდიოდი, მედლოსანთა გასაუბრებაზე წერით ნამუშევარში ვწერდი, რომ განუზომლად მიტაცებს უნივერსიტეტის ზვიადი, თეთრი შენობა, ეს ნათელი ტაძარი სიბრძნისა, ჩაუქრობელი კერა ქართული მეცნიერებისა.

ახლა, როცა გაიარა სტუდენტობის წლებმა, ვიცი, ისევ მომენატრება ამ თეთრი კედლების შეხედვა, მისი ნათელი აუდიტორიები და სტუდენტებით ახმაურებული ბაღი უნივერსიტეტისა. მენანება მისი დატოვება, მაგრამ ცხოვრებას ვერ შეაჩერებ. იგი თავისი გზით მიდის და უნივერსიტეტისგანაც ახალ-ახალ კადრებს მოითხოვს ჩვენი მომავლის მშენებლობის ყველა უბანზე.

სულ ცოტა ხანიც და ფილოლოგის დიპლომს მივიღებ. ცოტა ხანი მეთქი, ვამბობ, ამ ცოტა ხანში კი ორი დიდი გამოცდა მელის — ერთი სადიპლომო შრომის დაცვა და მეორე — სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება.

სადიპლომო შრომა თითქმის დამუშავებული მაქვს. ჯერ კიდევ გასული წლიდან ვაგროვებდი საჭირო მასალებს, ვინიშნავდი ჟურნალ-გაზეთებს, სადაც რაიმე გამოჩნდებოდა ჩემი არჩეული მწერლის — ლიონ ფოიხტვანგერის შესახებ. სადიპლომო შრომას მისი რომანის „გოიას" მიხედვით ვწერ. ახლა შავ სამუშაოს ვასრულებ. თავს ვუყრი დაგროვილ მასალებს. ფოიხტვანგერზე წერა დიდი და შრომატევადი სამუშაოა. არიან მწერლები, რომელთა სახელები ერთ დიდ ნაწარმოებთან არიან ხოლმე დაკავშირებულნი. ფოიხტვანგერის შესასწავლად კი მისი რომელიმე ერთი ნაწარმოებები არ კმარა. მისი ყოველი ახალი წიგნი ავტორის დაუშრეტელი ტალანტის ახალ მხარეს გადაგვიშლის ხოლმე. ამიტომაც, თუმცა ჩემი სადიპლომო შრომა უშუალოდ მის ერთ რომანს „გოიას" ეხება, მაინც გულდასმით გავეცანი დანარჩენ რომანებს, უმეტესობას ორიგინალში, რამდენიმეს კრიტიკულ წერილებში. უნდა ვთქვა, რომ ამ დიდი მწერლის შემოქმედების ამოწურვა საკმაოდ ძნელი საქმეა. ბევრი როდი მოიძებნება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მისებრ ნაყოფიერი მწერალი, ავტორი 17 რომანისა, მრავალი მოთხრობისა და პიესისა, ლირიკული ლექსებისა, კრიტიკული თუ ავტობიოგრაფიული ხასიათის სტატიებისა. ლიონ ფოიხტვანგერი, ამასთან, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორიცაა და მისი



სადოქტორო შრომაც არაა მოკლებული ინტერესს.

ასეთი დიდი მწერლის შესახებ სადიპლომო შრომის დაწერა დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. მეც არ ვიშურებ გულმოდგინეობას, რათა ჩემმა ნაშრომმა ერთი პატარა ნაწილი მაინც გააშუქოს ფოიხტვანგერის შემოქმედებისა.

მალე წარვდგები ჩემი აღმზრდელების წინაშე საბოლოო ანგარიშით და, ვისურვებდი, რომ გამოცდა მკაცრი იყოს, საინტერესო და ბევრის მომთხოვნი, რათა პირნათლად დავემშვიდობო ჩემს ამაგდარ უნივერსიტეტს, ჩემს ძვირფას პროფესორებსა და მასწავლებლებს და გაბედულად გადავდგა დამოუკიდებელი ნაბიჯი ცხოვრების ფართო გზაზე.

**დალი კოკაია,**
დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, სტალინის სახელობის სტიპენდიატი.

**სურათზე:** დალი კოკაია სადიპლომო თემის მასალებზე მუშაობის დროს.

ფოტო ა. გემჯიანისა

# მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური თანაცხოვრების წესები

კომუნისტური პარტია მთელ ხალხს და, კერძოდ, საბჭოთა ახალგაზრდობას ზრდის კომუნისტური სულისკვეთებით, ახალი, საბჭოთა მორალის სულისკვეთებით. ამ მუშაობაში პარტიის უახლოესი თანაშემწეა ლენინური კომკავშირი. როცა ლაპარაკია კომუნისტური მორალისა და ზნეობის საკითხებზე, კომკავშირელის ყოფაქცევაზე, კომკავშირი ეუბნება მას — მოიქეც და იმოქმედე ისე, რომ შენი ყოველი ქცევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელს უწყობდეს კომუნიზმის მშენებლობას, მთელი შენი საქციელით დაეხმარე პარტიას ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

კომკავშირელის პირადი ცხოვრება და ყოფაქცევა არა მარტო მისი კერძო, არამედ საზოგადოებრივი საქმეცაა, მთელი კომკავშირული ორგანიზაციის საქმეა.

კომკავშირი, წარმოადგენს რა პარტიის უახლოეს თანაშემწეს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, თვითეული კომკავშირელისაგან მოითხოვს აქტიურ ბრძოლას ხულიგნობის, ლოთობის, ცრუმორწმუნეობის, ქალისადმი არაამხანაგური დამოკიდებულების, ადამიანის ღირსების უპატივცემულობის წინააღმდეგ.

დღეს, როცა საბჭოთა ახალგაზრდობა იბრძვის იმ დიდი ამოცანების განხორციელებისათვის, რაც პარტიამ დაუსახა საბჭოთა ხალხს, სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთებს, რომლებიც თავიანთი არაწესიერი საქციელით არცხვენენ საბჭოთა ახალგაზრდის, კომკავშირელის სახელს, თავიანთ ამხანაგებს, კოლექტივს, წარმოებასა თუ სასწავლებლებს. ლოთობენ, ხულიგნობენ, მოქალაქეებს ეპყრობიან უხეშად, არღვევენ წესრიგს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

ლოთობა რომ ყოველგვარი ბოროტების წყაროა, ეს არ სჯეროდათ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს მ. ღვთისიაშვილსა და ე. შველიძეს, მაგრამ ეს მაშინ გაიგეს, როცა ბახუსის მოყვარულები კიროვის რაიონის მილიციის განყოფილებაში გამოფხიზლდნენ და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის მსჯავრდადებული იქნენ სასამართლოს მიერ. ხულიგნობამ ისინი იქამდის მიიყვანა, რომ ღვთისიაშვილი გარიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან, ხოლო შველიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და მოეხსნა სტიპენდია.

ასევე, ხულიგნობისათვის, ადამიანის პირადი ღირსების შეურაცხყოფისათვის გაირიცხა უნივერსიტეტიდან ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი დიხამინჯია.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის სათანადოდ დაისაჯა აგრეთვე მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ჩიქოვანი. ჩვენი მკითხველებისათვის ცნობილია ის ფაქტიც, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა სიმთვრალემ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები და-ძმა პაატაშვილები, ბერაძე და აბესაძე.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ ჩვენი სტუდენტებისა და მათ შორის კომკავშირლების მხრივ ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ცალკეულ ფაქტებს, რომელსაც, მართალია, უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია ყოველნაირად ებრძვის, მაგრამ, ჩანს, იგი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. საჭიროა შევქმნათ საზოგადოებრივი გაკიცხვის ფართო ატმოსფერო, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. ამ მიმართულებით, პირველ რიგში, მთელი შესაძლებლობით უნდა გამოვიყენოთ ძირეული პრესა, კედლის გაზეთები, ჩვენი მრავალტირაჟიანი გაზეთი. გავკიცხოთ ისინი, ვინც თავიანთი უღირსი ქცევით სახელს უტეხენ ჩვენს სახელოვან სტუდენტ-ახალგაზრდობას; უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ხშირად ვატარებდეთ ლექცია-მოხსენებებს კომუნისტური მორალის, ახალგაზრდის კულტურული ყოფაქცევის, ალკოჰოლიზმის მავნე შედეგების საკითხებზე. ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეუძლიათ აკადემიური ჯგუფის აგიტატორებსაც.

თვითეული კომკავშირელი, საბჭოთა ახალგაზრდა, მოვალეა დაეხმაროს საბჭოთა სახელმწიფოს ოჯახის განმტკიცებაში. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ცალკეული ახალგაზრდების მხრივ უზნეო ქცევის გამოვლინების ფაქტებს, შეუღლებისა და ოჯახისადმი ფუქსავატური დამოკიდებულების, ქალიშვილისადმი უზრდელი მოქცევის, ძალადობის ფაქტებს.

საბჭოთა ოჯახი აგებულია ქალიშვილისა და ვაჟის ურთიერთ პატივისცემასა და სიყვარულზე, საზოგადოების ინტერესების ერთიანობაზე. უსიყვარულოდ კი საბჭოთა ოჯახის შექმნა შეუძლებელია. ეს ვერ შეიგნო ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტმა ბაღაშვილმა, რომელმაც გასულ წელს დანით დაჭრა თანაკურსელი გოგონა მახვილაძე. კურსის, ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაცია, ამხანაგები, მეგობრები დროზე რომ ჩარეულიყვნენ და დაინტერესებულიყვნენ მათი ბედით, ეს შემთხვევა თავიდან აცილებული იქნებოდა. საჭიროა ამ მხრივ მეტი აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება, ხშირად უნდა იკითხებოდეს ლექცია-მოხსენებები საბჭოთა ოჯახის, მეგობრობის, სიყვარულის, ამხანაგობის, კომუნისტური ზნეობის საკითხებზე.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ კოლექტივიზმი, მეგობრობა და ამხანაგობა იქცა საბჭოთა ადამიანების ყოფაქცევის განმსაზღვრელად, საბჭოთა მორალის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად. კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ახალგაზრდობას ზრდიდნენ კოლექტივიზმისა და მეგობრობის მაღალი გრძნობით. ერთგულება და თავდადება, აი, ნამდვილი მეგობრობის ნიშნები, რაც ერთხელ კიდევ დაადასტურეს ჩვენმა კომკავშირლებმა ყაზახეთის ველებზე, როცა ისინი ერთიანი ძალით მამაცურად შრომობდნენ უხვი ყამირული მოსავლის ასაღებად.

## ფიზიკოსები ლაბორატორიაში



სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები (მარჯვნიდან მარცხნივ) — ვ. ქორიძე და თ. გეგენავა მოლეკულური ფიზიკის ლაბორატორიაში მუშაობენ ხაზოვანი გაფართოების კოეფიციენტის განსაზღვრაზე.

ფოტო ა. გემჯიანისა

## წერილი რედაქციას

# დიდი პოეტის სახელის უკვდავსაყოფად

ათი წლის წინად უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო ახალგაზრდა მწერალთა წრემ. ამ ხნის განმავლობაში წრეში მრავალი ნიჭიერი პოეტი, პროზაიკოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი და მთარგმნელი აღიზარდა, რომელნიც ქართული მწერლობის ახალი თაობის ძირითად და წამყვან ძალას წარმოადგენენ და რომელთაც სავსებით სამართლიანად დაიმსახურეს მკითხველთა სიყვარული და პატივისცემა.

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრების შემოქმედება ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისათვის „პირველი სხივის" საშუალებით. ეს სოლიდური გამოცემა მკითხველთა დიდ ინტერესს იმსახურებს, რასაც ის გარემოებაც მოწმობს, რომ „პირველი სხივის" პირველი ნომრები დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ახლოვდება საიუბილეო თარიღი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და ლიტერატურული საზოგადოებრიობა აღნიშნავს ამ წრის არსებობის ათი წლისთავს. სასურველია, თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს ეწოდება ჩვენი სახელოვანი პოეტის, მეოცე საუკუნის პოეტური სიტყვის უბადლო ოსტატის — გალაკტიონ ტაბიძის სახელი. ეს, ამ წრისათვის იქნება უმაღლესი და საპატიო ჯილდო, რომელიც მეტ პასუხისმგებლობას დააკისრებს წრეში გაერთიანებულ ახალგაზრდობას, ხოლო, მეორე მხრით, ეს იქნება ჩვენგან სამუდამოდ წასული დიდი პოეტის სახელის უკვდავყოფა, უკვდავყოფა იმ პოეტის სახელისა, რომელსაც განსაკუთრებული გრძნობით უყვარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი როგორც ეროვნული კულტურის უძლიერესი კერა.

დოც. ი. გოცაძე

---

ჩვენს ახალგაზრდობაში მეგობრული სულისკვეთების აღზრდის მიზნით უნივერსიტეტში ხშირად ტარდება შეხვედრები, მეგობრობის საღამოები და სხვა, მაგრამ ჩვენ კიდევ მეტის გაკეთება გვმართებს.

ამ რამდენიმე ხნის წინად გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში შრომელთა მონაწილეობის შესახებ. ეს დადგენილება ავალებს პარტიულ-კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა საბჭოთა მოქალაქეს მეტი ყურადღება დაუთმონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ებრძოლონ ლოთობის, ხულიგნობის, ამორალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. როგორც დადგენილებაში აღნიშნულია, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მთელი საზოგადოებრიობის ღვიძლი საქმეა. პარტიისა და მთავრობის ეს დადგენილება კიდევ უფრო მეტად ავალებს კომკავშირულ ორგანიზაციებს, მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდობას აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, იბრძოლონ სოციალისტური თანაცხოვრების წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

ჩვენი კომკავშირული ორგანიზაცია მუდამ მტკიცედ დგას პარტიის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის ბრძოლაში, ჩვენი ახალგაზრდობა თავდადებულად შრომობს მეცნიერების დაუფლებისათვის. სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმატებით სწავლასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებაში და ამის სანიმუშო მაგალითს იძლევა, ხოლო ის გამონაკლისი შემთხვევები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს მრავალათასიან კოლექტივში, ძირითადად გამოსწორებულია და ამიერიდან აღარ უნდა განმეორდეს.

ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის, იურიდიული, ფილოლოგიის, ეკონომიური, და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტების კომკავშირული ბრიგადები ხშირად აწყობდნენ და აწყობენ საღამო რეიდებს ქალაქში მათთვის გამოყოფილ უბნებში და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში. ამით ისინი დიდ დახმარებას უწევენ მილიციის ორგანოებს. ამჟამად პარტიის მოწოდების პასუხად ბევრმა სტუდენტმა გამოთქვა სურვილი გაერთიანდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ რაზმებში. იმედია, ისინი სანიმუშონი და მაგალითის მიმცემნი იქნებიან ამ საქმეშიც.

ზურაბ გაბუნია,
უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის მდივნის მოადგილე.

# „თომას მანი" თბილისში*

### ჰაინც კამნიცერი

მეორე დღეს გავემგზავრე ქვეყნის ყოფილ დედაქალაქში. საქართველოს სამხედრო გზაზე მძღოლი გიჟური გამბედაობით მიაქროლებდა მანქანას. მე ვთხოვე სისწრაფის შენელება.

კაცმა თბილისი ნახოს და მერე მოკვდეს? კარგი ამბავია!..

მე მინდოდა იმაზე მეტი მენახა, რასაც მთავაზობდნენ და ყველაფერი დამემახსოვრებინა, მაგრამ თვით მარდი რეპორტიორიც კი ვერ შეძლებდა ასეთი ტემპით სვლის დროს დაემახსოვრებინა ლანდშაფტი ან ხალხი გზაში.

მძღოლმა ჩემს თხოვნაზე სვლა შეანელა.

შარაგზის ნაპირზე იყო ტყე, აქა-იქ გამოჩნდებოდნენ ქანდაკებები, მკრთალად გაიელვებდნენ თაბაშირის ბიუსტები. სვლის დროს ძნელი განსასჯელია, ხელოვანი მას პასუხისმგებლობით მოჰკიდებია თუ არა. ერთი რამ ცხადია: აქ ვერ ნახავთ იესო ქრისტეს, ჯვარზე გაკრულს, ან ღვთისმშობელს, ბავშვით ხელში. აქ, ქანდაკებებში თქვენ ნახავთ ჭაბუკ ახალგაზრდას, რომელიც ხელით გესალმებათ, ან ქალიშვილს, რომელიც წიგნს უკითხავს ბავშვს. მთის მწვერვალზე მოჩანს ნანგრევები. ჯვრის მონასტერი (V-VI საუკუნისა), ლერმონტოვის მიერ ლექსით უკვდავყოფილი. ჩვენს თვალწინ არის საქართველოს პირველი ჰიდროელსადგური, რომლის კაშხალთან დგას ლენინის ძეგლი.

მცხეთა უფრო სოფლის შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე ქალაქისას, მაგრამ მონასტერი დიდი წარსულის მაუწყებელია.

მონასტრის გარეთა კედელზე, ძალიან მაღლა, ახლაც დაინახავთ მოკვეთილი ხელის ქანდაკებას, რომელიც ბათქაშით არის შემორკალული. ასე დასჯილა ამ მონასტრის არქიტექტორი.

უკან დაბრუნებისას ჩვენ ცოტა ხნით შევიარეთ თბილისის ხელოვნურ ზღვაზე, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა. აქედან ირწყვება გვალვიანი მიდამოები. ამის შედეგად შორს გადაჭიმულა მინდვრები და ყანები, რომლებიც ცოტა ხნის წინად არც იყო.

კვირა დღე იყო. არ ვიცოდი რა გამეკეთებინა და შემთხვევით თავი ამოვყავი რუსთავში, რომელიც თბილისიდან დაშორებულია მანქანისათვის ერთი საათის სავალზე. ჯერ კიდევ 15 წლის წინათ იქ სხვა არაფერი იყო გარდა სიმინდის ყანებისა. წარსულში კი ამ ადგილას ერთ დროს დასახლებული პუნქტი ყოფილა, რომელიც 400 წლის წინათ განადგურებულა, შემდეგ ხავსი მოსდებია და ბოლოს ხავსებით გამქრალა. ახლა იქ თანამედროვე ტიპის საცხოვრებელ სახლებში ცხოვრობს 70 000-ზე მეტი ადამიანი.

თავისი დიდი ხეივნებით ქალაქი ისე ესალმება უცხოელს, როგორც მთის აგარაკი.

მცხოვრებნი ყველანი ერთ ქარხანაში მუშაობენ, ეს ქარხანა იმდენივე ხნისაა, რამდენისაც თვით ახალი რუსთავი. მე აქ დავათვალიერე მეტალურგიული ქარხანა და პირველად გავიგე, რას ნიშნავს სრული მექანიზაცია და ავტომატიზაცია. დიდ მილსაგლინავ დარბაზში კონვეირთან მდგომი მუშები ძლივს მოჩანდნენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ქარხანას შორიდან მართავდნენ. რუსთავში, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ სულაც არ არსებობდა, იწარმოება ორჯერ უფრო მეტი ფოლადი, ვიდრე მთელს თურქეთში.

განსაკუთრებით ორი რამ მომხვდა თვალში: საამქროებში ისეთი სისუფთავეა, გეგონებათ მუდამ ჰკვიანო. ამასთან, მთელ ამხელა ტერიტორიაზე იშვიათად ნახავთ ლოზუნგებს, სამაგიეროდ აქ ნახავთ მრავალ აბრას, წარწერის გარეშე, ისინი აღმართულნი არიან გზებზე და ილუსტრაციებით მოგვითხრობენ დიადი გეგმების შესახებ.

მაგრამ მე რომ რუსთავში არ შევხვედროდი ეკვადორელ უცხოელ ტურისტს, მაშინ ალბათ ვერ შევხვდებოდი რუსთაველ მეფოლადესაც. ჩვენ დავდიოდით ქალაქის ქუჩებში და მოურიდებლად ვაკვირდებოდით ადამიანებს, რომელთა წინაშე კიდევ ერთხელ მინდა დამატებით მოვიხადო ბოდიში. უცებ ჩემმა ახლადგაცნობილმა უცხოელმა მეგობარმა მოისურვა მუშათა ბინები დაგვეთვალიერებინა არა მარტო გარედან, არამედ შიგნიდანაც, მან პირველივე სახლი ამოირჩია თავისი განზრახვის შესასრულებლად.

ჩვენ დავრეკეთ პირველ სართულზე. ქალი, რომელმაც კარი გაგვიღო, ძლიერ არ მოსულა აღტაცებაში: კვირა დღე იყო. ოთახში საუთოვებელი მაგიდა გაეშალათ... ქმარს ვერ მოესწრო წვერის მოპარსვა, საყელოს შეკვრა და საერთოდ...

ჩვენ შეგვიპატიჟეს. ცოტა არ იყოს დარცხვენით მოგვართვეს სკამები და დუმილი ჩამოვარდა.

ეკვადორელმა ბატონმა უცერემონიოდ იკითხა ვინ იყო მასპინძელი, სად მუშაობდა იგი და რამდენი ჰქონდა ხელფასი, ჰყავდა თუ არა ბავშვები და რა უჯდებოდა ბინის ქირა.

— მე მეფოლადე ვარ, თქვა მასპინძელმა, — ვღებულობ 2300 მანეთს. მყავს სამი შვილი. სამ ოთახიან ბინაში გათბობით ვიხდი 96 მანეთს თვეში.

ეკვადორელ ბატონს სურდა გაეგო, მუშაობდა თუ არა მუშის მეუღლე.

— არა, — თქვა მეფოლადემ.

— ხომ არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც აიძულებს ქალს იმუშაოს?

— მეფოლადემ გაიღიმა და თქვა:

— მართალია, არსებობს უფლება მუშაობისა, მაგრამ იძულების კანონი კი არ არსებობს.

— ღმერთი გწამთ? — იკითხა ეკვადორელმა.

მასპინძელი დაფიქრდა, თუ როგორ ეპასუხა ამაზე. იგი იღიმებოდა. მაგრამ ეს არ იყო დარცხვენით გამოწვეული. შემდეგ მან დახედა თავის ხელებს, თითქოს უნდოდა ეთქვა: როგორ? რასაც ვქმნი, თვითონ ვქმნი და არა ზეციური არსება; რასაც ვერ ვქმნი, ის ჩემი ნაშრომი არ არის. შემდეგ მან ამოიღო ხმა და თქვა, რომ ის არის კომუნისტი, და ამით გაათავა.

— რა მისწრაფება გაქვთ ცხოვრებაში? — ჰკითხა ეკვადორელმა ბატონმა.

— მშვიდობა, — თქვა მეფოლადემ, — მშვიდობა ჩემი ბავშვებისათვის, მშვიდობა ყველა ბავშვისათვის, მშვიდობა ყველა ადამიანისათვის! იგი ლაპარაკობდა ჩუმად და ოდნავ აღელვებული.

ბოდიშს ვიხდი, რომ ჩვენ იგი ისე დავკითხეთ, როგორც ამერიკელმა ჟურნალისტებმა, მაგრამ ის ალბათ გაიგებს ჩვენს ცნობისმოყვარეობას, რომელიც უთუოდ მეგობრული იყო.

— გაქვთ თუ არა თქვენ დრო საინტერესო წიგნის წასაკითხავად? — ვკითხე მე.

მეფოლადემ ამაზე არა ქედმაღლურად, არამედ სახტად დარჩენილმა შემომხედა.

— მე ნოვატორი ვარ. ჩემი სამუშაო დღე შეადგენს რვა საათს ნაცვლად 7 საათისა. სამაგიეროდ მე საწარმოში კვირაში მხოლოდ ოთხი დღე დავდივარ სამუშაოდ. ყოველდღე საკმარისად მრჩება დრო კითხვისათვის, მით უმეტეს — თავისუფალ დღეებში.

შემდეგ მან დაასახელა მის მიერ წაკითხული რუს და ქართველ მწერალთა ნაწარმოებები.

— რას ფიქრობთ თქვენ გერმანიაზე? — ვკითხე მე.

— რომელ გერმანიაზე, — დამიბრუნა შეკითხვა რუსთაველმა მეფოლადემ, — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე თუ დასავლეთ გერმანიაზე?

შემდეგ მან გვისურვა ჩვენ ხელახალი გაერთიანება, მაგრამ მისი აზრით მას უნდა ეწოდოს მშვიდობიანი გერმანია. სხვანაირად ეს არც შეიძლება და არცა გვაქვს ამის უფლება.

შემდეგ ეკვადორელმა ბატონმა იკითხა თუ რა მნიშვნელობას აძლევს მეფოლადე ამერიკის შეერთებულ შტატებს. ცოტა ხნის პაუზის შემდეგ მან მიიღო პასუხი:

— უბრალო ხალხს ყველგან, მათ შორის ამერიკაშიც, სურს მშვიდობა. მხოლოდ ერთი ბანდა აგებს პასუხს ომის პოლიტიკაზე.

— განა ყველა ადამიანი ასე ფიქრობს აქ? — შევეკითხე მე.

— ყველა, — თქვა რუსთაველმა მეფოლადემ.

ჩვენ მადლობა გადავუხადეთ და ბოდიში მოვიხადეთ.

— გადაეცით გულთბილი სალამი გერმანელ ხალხს, — მთხოვა მასპინძელმა.

გერმანულიდან თარგმნა
ნათელა ნადარეიშვილმა

* დასასრული. დასაწყისი იხილეთ ჩვენი გაზეთის 4 აპრილის ნომერში (№ 8).



სურათზე: ბიოლოგიის ფაკულტეტის მცენარეთა ფიზიოლოგიის სპეციალობის სტუდენტები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ბ. ფირცხალავა, ნ. დავითაშვილი და ნ. შენგელია ჰისტოლოგია-გენეტიკის კათედრაზე მუშაობის დროს.

ფოტო ა. გემჯიანისა

# სპორტის ამბები

## დამთავრდა შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში

უნივერსიტეტში უკვე ერთი თვეა მიმდინარეობს უნივერსიტეტის ტრადიციული სპარტაკიადა, სადაც 11 ფაკულტეტის სპორტსმენი-სტუდენტები ერთმანეთს ეჯიბრებიან სპორტის 19 სახეობაში.

სპარტაკიადის პროგრამაში სხვა სახეებთან ერთად შედის აგრეთვე სპორტის ერთი, ახალგაზრდობისათვის მეტად საყვარელი სახე — კლასიკური ჭიდაობა.

3-4 აპრილს მაყურებლებს ვერ იტევდა II კორპუსის სპორტული დარბაზი, სადაც 9 ფაკულტეტის 65 სტუდენტი ერთმანეთს ეცილებოდა პირველობას სპორტის ამ სახეში. ძნელი იყო იმის თქმა წინასწარ, თუ რომელი ფაკულტეტის გუნდი დაიკავებდა პირველ ადგილს. შეჯიბრების დაწყებიდანვე ლიდერთა ჯგუფში ჩადგნენ იურიდიული და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების გუნდები და ეს ლიდერობა მათ ბოლომდე შეინარჩუნეს. შეჯიბრების პირველ დღეს ორივე ფაკულტეტის მოჭიდავეებმა 14-14 გამარჯვება მოიპოვეს. შეჯიბრება იმიტომაც უფრო იყო საინტერესო, რომ ყველა 65 მონაწილე კარგად იყო მომზადებული და დაუფლებული ჭიდაობის ილეთებს. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ შეჯიბრების მანძილზე სულ 87 შეხვედრა ჩატარდა და აქედან 70 შეხვედრა სუფთა გამარჯვებით დამთავრდა, 14 — ქულებით და 3 — ფრედ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ადგილები ასე განაწილდა:

**უმჩატეს წონაში** პირველ ადგილზე გამოვიდა ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გ. გოქაძე, მეორეზე — ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი რ. მიხელაშვილი, მესამეზე — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი — ა. არსენაშვილი.

**მჩატე წონაში** პირველი ადგილი წილად ხვდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს, პირველთანრიგოსან ჯ. ძნელაძეს, მეორე — ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტს უ. წერეთელს.

**ნახევრადმსუბუქ წონაში** I ადგილი დაიკავა ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ი. ვართანიანმა, მეორე — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ვ. კუპაიძემ, ხოლო მესამე — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ო. ლომიტაშვილმა.

**მსუბუქ წონაში** პირველი ადგილი მიეკუთვნა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს, სპორტის ოსტატ ა. ბეროზაშვილს, მეორე — ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტს კ. კახაძეს, ხოლო მესამე — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტს გ. პურღალაშვილს.

**ნახევრადსაშუალო წონაში** I ადგილზე გამოვიდა ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი ი. დარახველიძე, მეორეზე — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ვარაზაშვილი, მესამეზე — აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი მებურაშვილი.

**საშუალო წონაში** პირველი ადგილი მოიპოვა ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტმა გ. ლოლობერიძემ, მეორე — ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა ვ. ხვისტანმა, მესამე — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ზ. ჩიტიაშვილმა.

**ნახევრადმძიმე წონაში** I ადგილზე გამოვიდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი შ. ფაფიაშვილი, მეორეზე — ლ. სოხურაშვილი, მესამეზე — გ. სილაგაძე (ორივენი — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტიდან).

**მძიმე წონაში** პირველი ადგილი წილად ხვდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს, სპორტის ოსტატ ა. სიხარულიძეს, მეორე — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტს ნ. ანთიძეს, მესამე — ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტს გ. ქვანიას.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა იურიდიული ფაკულტეტის გუნდმა 22 საჯარიმო ქულით. მეორე ადგილზეა — გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდი 34 საჯარიმო ქულით, მესამე ადგილზე — ფიზიკის ფაკულტეტის გუნდი 40 საჯარიმო ქულით.

არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ისეთ ფაკულტეტებს, როგორიც არიან ფიზიკის, ეკონომიური და ქიმიის ფაკულტეტები, რომლებიც I ადგილის პრეტენდენტები უნდა ყოფილიყვნენ, რომ სრულყოფილად გამოეყვანათ გუნდები. ასე მაგალითად: ფიზიკის ფაკულტეტმა განაცხადი წარმოადგინა 25 მოჭიდავის შემადგენლობით, მაგრამ სინამდვილეში შეჯიბრებას ბოლომდე შერჩა მხოლოდ 4 კაცი. ეკონომიურმა და ქიმიის ფაკულტეტებმა კი სრულებით არ მიიღეს მონაწილეობა შეჯიბრებაში.

**კ. შეყილაძე**



**სურათზე:** ფინალური შეხვედრების ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ზ. რუსიასი

## ს. მ. ვაჩნაძე



გარდაიცვალა ჩვენი უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის ძველი წევრი, შესანიშნავი მეცნიერი და გულისხმიერი აღმზრდელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი სიმონ მიხეილის ძე ვაჩნაძე. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მუშაკთათვის.

ს. მ. ვაჩნაძე დაიბადა 1888 წელს. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს ს. ვაჩნაძემ თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა და მონდომებულმა ახალგაზრდამ, გულისხმიერებით შეუდგა მეცნიერების დაუფლებას.

1918 წლიდან ს. მ. ვაჩნაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს. იგი ჯერ მუშაობს ლაგოდეხის გიმნაზიის ქართული და რუსული ენების მასწავლებლად, ხოლო 1920 წლიდან ამავე საგნებს ასწავლის თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში.

1930 წელს ს. მ. ვაჩნაძე მოწვეულ იქნა ჩვენი უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრაზე. აქ მას გადაეშალა მეცნიერული მუშაობის ფართო ასპარეზი. იგი იცავს დისერტაციას ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, იღებს დოცენტის წოდებას. პარალელურად მუშაობს პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც 1938 წლიდან სიკვდილის დღემდე იგი განაგებდა რუსული ენის კათედრას; სხვადასხვა დროს იყო რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ბევრმა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკმა მიიღო სამეცნიერო ხარისხი.

პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ს. მ. ვაჩნაძე ეწეოდა ფართო მეცნიერულ მოღვაწეობას. მის კალამს ეკუთვნის სამოცამდე გამოქვეყნებული და რამდენიმე გამოუქვეყნებელი შრომა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. მ. ვაჩნაძის ღვაწლი რუსულ-ქართული და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონების შედგენისა და რედაქტირების საქმეში. იგი იყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქციის წევრი და V ტომის თანარედაქტორი.

ს. მ. ვაჩნაძის უმწიკვლო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობა ღირსეულად იქნა დაფასებული. გასულ წელს მას გადაუხადეს დაბადების 70 და სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავის იუბილე.

გულისხმიერი პედაგოგისა და აღმზრდელის, შესანიშნავი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სიმონ მიხეილის ძე ვაჩნაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი აღზრდილების, მეგობრებისა და ამხანაგების გულებში.

**ამხანაგების ჯგუფი**

## თავისუფალ დროს

### ჩაინვორდი



ისარგებლეთ ჩაინვორდში მოცემული ასოებით და უჯრედებში ჩაწერეთ მსოფლიოს ზოგიერთ მნიშვნელოვან მდინარეთა სახელწოდებანი ისე, რომ ყოველი წინამავალი სახელწოდება მომდევნოს საწყისი ასოთი მთავრდებოდეს.

ჩაინვორდი შეადგინა **ომარ ჭეიშვილმა**

## უნივერსიტეტის ნახევარფინალები ჭადრაკში

ორ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა უნივერსიტეტის პირველობის ნახევარფინალური შეხვედრები ჭადრაკში, რომელშიც სულ 36 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. ისინი დაყოფილი იყვნენ თანაბარი სიძლიერის სამ ქვეჯგუფად.

ნახევარფინალური შეხვედრები მეტად დაძაბული ბრძოლებით აღინიშნა და მან ბევრი ახალი ძალაც გამოავლინა, რომლებიც უნივერსიტეტის ნაკრების წევრობის საიმედო კანდიდატები არიან.

პირველ ქვეჯგუფში 9,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ნ. ლობჟანიძემ. მეორე და მესამე ადგილები კი 9—9 ქულით გაიყვეს ა. მესხიამ (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) და ა. მეგრელიშვილმა (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.).

მეორე ქვეჯგუფში 9 ქულით პირველ ადგილზე გავიდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ე. ბელქანია, ხოლო მეორე-მეოთხე ადგილებზე 8,5-8,5 ქულით გავიდნენ ალანაკიანი, დრიაევი და პოკლება (სამივენი ფიზიკის ფაკულტეტიდან).

მესამე ჯგუფში პირველი ადგილი წილად ხვდა ჯ. მებონიას (ფიზიკის ფაკ.), რომელმაც 9,5 ქულა დააგროვა, მეორე ადგილზე 8,5 ქულით გავიდა იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელი სტუდენტი ო. გამყრელიძე, მესამე-მეხუთე ადგილებზე კი 7,5-7,5 ქულით ჯ. ბიბინეიშვილი (იურიდიული ფაკ.), მ. ემიშიანი და გ. დეკანოზიშვილი (ფიზიკის ფაკ.).

დებულების მიხედვით, თვითეულ ქვეჯგუფში პირველ სამ ადგილზე გამოსულ მოჭადრაკეებს უფლება ეძლევათ ითამაშონ უნივერსიტეტის პირველობაზე — ფინალში, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში დაიწყება.

მეორე და მესამე ქვეჯგუფებში, სადაც მესამე-მეოთხე და მესამე-მეხუთე ადგილებზე რამდენიმე მოჭადრაკე გავიდა, მესამე ფინალისტის გამოვლინება მოხდა ტურნირის შედეგების მაჩვენებელთა შეფარდების გზით, რის შედეგადაც II ქვეჯგუფში უკეთესი მდგომარეობა აღმოაჩნდა დრიაევს, ხოლო III ქვეჯგუფში — ბიბინეიშვილს. ამრიგად, ფინალში გავიდნენ: ლობჟანიძე, მესხია, მეგრელიშვილი, ბელქანია, ალანაკიანი, დრიაევი, მებონია, გამყრელიძე და ბიბინეიშვილი. ამათ გარდა ფინალში მონაწილეობას მიიღებენ უნივერსიტეტის პროფესორ-თანამშრომელთა ტურნირში პირველ სამ ადგილზე გამოსული მოჭადრაკეები და აგრეთვე პერსონალურად მოწვეულნი — უნივერსიტეტის გასული წლის ჩემპიონი — ა. ხელაშვილი (ფიზიკის ფაკ.), ოსტატობის კანდიდატი თ. კიკიანი (ეკონომიური ფაკ.) და ქალაქ თბილისის პირველობის მონაწილე მ. თხელიძე (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.). ფინალში მონაწილეობის პირველი კანდიდატები არიან პოკლება, ემიშიანი და დეკანოზიშვილი.

ჩატარებულ ნახევარფინალურ შეხვედრებს საკლასიფიკაციო მნიშვნელობაც ჰქონდათ. ტურნირის კოეფიციენტის მიხედვით პირველი თანრიგის მიღების ან დამტკიცებისათვის საკმაო ქულათა რაოდენობა (8,5) დააგროვეს პოკლებამ, ალანაკიანმა, მესხიამ, მებონიამ, გამყრელიძემ, ბელქანიამ, დრიაევმა, მეგრელიშვილმა და ლობჟანიძემ, ხოლო მეორე თანრიგის მიღების ან დამტკიცებისათვის საჭირო ნორმა (5,5 ქულა) შეასრულეს ბუხნიკაშვილმა, მარტყოფლიშვილმა, ფანჩვიძემ, მდივანმა, პაპიაშვილმა და ბიბინეიშვილმა.

უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ახალგაზრდა მოჭადრაკის არასპორტული საქციელიც: II ქვეჯგუფში მეორეთანრიგოსანმა მეუნარგიამ, როგორც კი მას (VIII ტურის შემდეგ) 3,5 ქულა აღმოაჩნდა დაკარგული, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი I თანრიგს ვეღარ მიიღებდა, მაშინვე მიატოვა შეჯიბრება. ასევე III ქვეჯგუფში დაინახეს რა, რომ ტურნირს კარგი მაჩვენებლებით ვერ დაამთავრებდნენ, რამდენიმე შეხვედრა გააცდინეს მოჭადრაკეებმა ყუბუსიძემ და ბერიამ. მათი ასეთი საქციელის გამო მოჭადრაკეებს დეკანოზიშვილსა და გოთოშიას საშუალება წაერთვათ დაემტკიცებინათ თავიანთი სპორტული თანრიგი (ინსტრუქციის მიხედვით თანრიგის მისაღებად ან დასამტკიცებლად საჭიროა მონაწილემ დაგროვოს დაწესებულ ქულათა რაოდენობა არა ნაკლებ ფაქტიურად ნათამაშები 10 პარტიიდან).

უნივერსიტეტის სპორტული კლუბის საჭადრაკო სექცია ამ დღეებში განიხილავს საკითხს აღნიშნულ მოჭადრაკეთა არასპორტული საქციელის შესახებ.

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-28-34.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 1 500 უე 00879.